



„სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის“ გზამკვლევი

პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით 2017 წლიდან ამოქმედდა და ის ეფუძნება პროფესიული და ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის საწყისებს. პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის ერთგვარ წინაპირობას „სკოლის მოსწავლეების საორიენტაციო და მოსამზადებელი კურსები“ წარმოადგენდა, რომელიც სამინისტროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი თანამშრომლობით 2017 წელს განხორციელდა. პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესის შედეგების გაანალიზების საფუძველზე 2017 წლის მეორე ნახევარიდან დაიწყო პროგრამის განხორციელება სამინისტრო ფარგლებში.

2017 წლიდან დღემდე 31 კოლეჯის ინიციატივით (21 საჯარო და 11 კერძო) 433 კურსი საქართველოს 250-ზე მეტ საჯარო სკოლაში განხორციელდა. 2018 წლის მიწურულს არსებული მდგომარეობით პროგრამა საქართველოს ყველა რეგიონსა და 42 მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. 2017 წლიდან დღემდე პროგრამა 10 000-ზე მეტმა მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლემ გაიარა. 2019 წლის განმავლობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზანს პროგრამის ხელმისაწვდომობის ზრდა წარმოადგენს ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში.

მიუხედავად იმისა, რომ „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების“ პროგრამა ცალსახად კარიერის მართვის ხასიათისაა, ის ერთდროულად რამდენიმე მიზნის მიღწევაზე ორიენტირებული, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ:

სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა

- კარიერის მართვის სერვისების დანერგვა
 - მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა
- საჯარო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯების თანამშრომლობის ხელშეწყობა
 - პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ხელმისაწვდომობა
- განათლების უწყვეტობის ხელშეწყობა და შემდგომი განათლების მიღების სტიმულირება
 - საჯარო სკოლების შესაძლებლობების გაძლიერება
- პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვა, გაანალიზება და ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილების მიღება

პროფესიული უნარების განვითარების კურსების განხორციელების ინიციატორი კოლეჯი/უნივერსიტეტია. საგაკვეთილო პროცესს უძღვება კოლეჯის/უნივერსიტეტის პროფესიული მასწავლებელი/ლექტორი, თუმცა პროცესში ჩართულია მიმდინარე კურსის რელევანტური

სკოლის/დამხმარე მასწავლებელი, რომელიც დახმარებას უწევს პროფესიულ მასწავლებელს. სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვის მიზნით საჯარო სკოლებში ეწყობა „მცირე პროფესიული სივცეები“, რომლის აღჭურვასაც წარმოადგენილი საკონკურსო განაცხადების შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (დეტალურად იხილეთ ქვევით). შედეგად, მოსწავლეებს საკუთარი ან მეზობლად მდებარე სკოლის შენობაშივე აქვთ შესაძლებლობა საკუთარი ძალები მოსინჯონ სხვადასხვა პროფესიაში და განვიითარონ საბაზო პროფესიული უნარები.

“პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო პროგრამაში” ჩართვის ეტაპები

- 1. პარტნიორების მოძიება** - იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ზოგადი და პროფესიული განათლების თანამშრომლობის საწყისებს ეფუძნება, საკონკურსო განაცხადის მომზადებისა და ზოგადად, პროგრამაში ჩართვის პირველ ნაბიჯს პარტნიორის მოძიება წარმოადგენს. საჯარო სკოლის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება, ხოლო კოლეჯის/უნივერსიტეტის შემთხვევაში პარტნიორი საჯარო სკოლის ან სკოლების მოძიება. მიუხედავად იმისა, რომ მომზადებული საკონკურსო განაცხადი განიხილება პარტნიორი კოლეჯის/უნივერსიტეტისა და საჯარო სკოლის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგი, **საკონკურსო განაცხადების განმცხადებელი კოლეჯი/უნივერსიტეტია.**
 - 2. მოსწავლეთა გამოკითხვა და სამიზნე პროფესიის იდენტიფიცირება** - კოლეჯს/უნივერსიტეტსა და საჯარო სკოლას შორის თანამშრომლობაზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ პირველ ნაბიჯს მოსწავლეთა გამოკითხვა წარმოადგენს, რათა სკოლაში განხორციელდეს მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის სასურველი პროფესიის კურსები. აღნიშნული გამოკითხვა მომავალში მოხდება ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, რომელიც ამჟამად შემუშავების ფინალურ ეტაპზეა. როგორც სამინისტროს, ასევე პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების პრიორიტეტია კონკურსში წარმოადგინონ იმ პროფესიის კურსი, რომელიც ეხმიანება მოსწავლეთა პროფესიულ ინტერესებს, სხვა შემთხვევაში, მაღალია კურსის წარუმატებლობის რისკი.
 - 3. საკონკურსო დოკუმენტაციის შემუშავება** - კონკურსში მონაწილეობის მნიშვნელოვან ნაბიჯს საკონკურსო განაცხადების შემუშავება წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ორმხრივი თანამშრომლობის საწყისებს ეფუძნება, აღნიშნული დოკუმენტების მომზადების პროცესში ჩართული უნდა იყოს ორივე მხარე, როგორც კოლეჯი/უნივერსიტეტი, ასევე საჯარო სკოლა, რათა შემუშავებული დოკუმენტაცია მორგებული იყოს საჯარო სკოლების საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე. საკონკურსო დოკუმენტაციაში შედის **განაცხადის ფორმა, დანართი (ბიუჯეტი), ფინანსური დოკუმენტაცია და საჯარო სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმი.** განაცხადის ფორმა და დანართი წარმოადგენს სამინისტროს მიერ სტანდარტიზებულ დოკუმენტაციას, რომელიც თან ახლავს საკონკურსო განაცხადების მიღების განცხადებას.
- 3.1. განაცხადის ფორმის შევსება** - განაცხადის ფორმა წარმოადგენს სამინისტროს მიერ შემუშავებულ სტანდარტულ დოკუმენტაციას, რომელიც საკონკურსო კომისიისთვის ერთ-ერთ

ძირეულ დოკუმენტს წარმოადგენს. ფორმის შევსების გამარტივების მიზნით, უფრო დეტალურად განვიხილავთ დოკუმენტში შემავალ ძირითად კომპონენტებს:

- *ინფორმაცია საკონკურსო განაცხადის წარმომდგენი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ:* საკონკურსო განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს. აღნიშნული დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან წარმოადგინონ ერთი ან რამდენიმე განაცხადი, ერთ ან რამდენიმე სკოლასთან თანამშრომლობით. აღნიშნულ კომპონენტში განმცხადებელმა კოლეჯმა/უნივერსიტეტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია: კოლეჯის/უნივერსიტეტის სახელწოდება, იურიდიული მისამართი, ფაქტობრივი მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ელ.ფოსტა;
- *ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ხელმძღვანელის შესახებ:* აღნიშნულ კომპონენტში განმცხადებელი კოლეჯი/უნივერსიტეტი წარმოადგენს შემდეგი ტიპის ინფორმაციას: სახელი და გვარი, ელ. ფოსტა, ტელეფონი;
- *ინფორმაცია პარტნიორი¹ და ბენეფიციარი² სკოლის შესახებ:* აღნიშნულ კომპონენტებში განმცხადებელი პარტნიორი და ბენეფიციარი საჯარო სკოლების შესახებ წარმოადგენს შემდეგი ტიპის ინფორმაციას: სკოლის დასახელება, სკოლის მისამართი, სკოლის ელ. ფოსტა, სკოლის დირექტორი, დირექტორის საკონტაქტო ტელეფონი, დირექტორის ელ. ფოსტა;
- *პროფესიული უნარების განვითარების კურსის დასახელება:* (1) საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, პროფესიული უნარების კურსი შეიმუშავოს მხოლოდ იმ მიმართულებების/პროფილის ფარგლებში, რომლის შესაბამისადაც ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს. (2) კურსის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს სამიზნე პროფესიის დასახელებას, (3) კურსის დასახელების ფორმულირება უნდა ჟღერდეს ერთგვაროვნად, მაგალითად: „პროფესიული უნარების განვითარების კურსი კულინარიაში“ ან „პროფესიული უნარების განვითარების კურსი სტილისტის პროფესიაში“;
- *სამიზნე კლასები:* “პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო პროგრამის” ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების VIII და IX კლასის მოსწავლეები. დასაშვებია ჯგუფის/ჯგუფების სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისგან დაკომპლექტება და ჯგუფში/ჯგუფებში მოსწავლეთა განსხვავებული რაოდენობა (ჯამში, თითოეულ ჯგუფში არაუმეტეს 20 მოსწავლისა);
- *კურსში ჩართული მოსწავლეების რაოდენობა:* ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20-ს. ამასთან, მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს კურსის/პროფესიის სპეციფიკა, სასწავლო გარემო და სხვა

¹ საჯარო სკოლა, სადაც ხორციელდება პროფესიული უნარების განვითარების კურსები. პარტნიორი სკოლა კონკრეტული კურსის ფარგლებში შეიძლება მასპინძლობდეს სხვა ახლომდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეებს. თითოეული კურსისთვის პარტნიორი სკოლა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, ხოლო ბენეფიციარი სკოლების რაოდენობა - ერთი ან მეტი.

² საჯარო სკოლა, რომლის მოსწავლეებიც სარგებლობენ პარტნიორ სკოლაში მიმდინარე პროფესიული უნარების განვითარების კურსებით.

მნიშვნელოვანი ფაქტორები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, რეკომენდებულია, კონსულტაციის გავლა პროგრამის მენეჯმენტთან;

- *კურსის ხანგრძლივობა:* იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამის მიზანი პროფესიის გაცნობა და პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვაა, თითოეული კურსის ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ 24 და არაუმეტეს 48 საათისა;
- *კურსის ფარგლებში თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა:* თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს. რეკომენდებულია, კურსის ფარგლებში დაიგეგმოს კვირაში 2 გაკვეთილი;
- *კურსის ზოგადი მიზნები:* აღნიშნულ კომპონენტში განმცხადებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა წარმოადგინოს კურსის ზოგადი მიზნების მოკლე აღწერა, რომელიც უნდა ესადაგებოდეს პროგრამისა და კარიერის მართვის მიზნებს;
- *კურსის სწავლის შედეგები და მათი მოკლე აღწერილობა:* აღნიშნულ კომპონენტში განმცხადებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა წარმოადგინონ სწავლის შედეგი და მათი მოკლე აღწერილობა, რათა მკითხველისთვის და კომისიის წევრებისთვის ნათელი გახდეს, რა შედეგებზე გავლენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ცალსახად კარიერის მართვის ხასიათისაა და მისი მთავარი მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ პროფესიის შესახებ საფუძვლიანი ინფორმაციის მიღება, **კურსი უნდა მოიცავდეს პროფესიის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს**, რაც მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს სწავლის შედეგებში. პროგრამაში არ არის რეკომენდებული ისეთი კურსების შეთავაზება, რომლებიც ორიენტირებულია პროფესიის ერთ რომელიმე ასპექტზე. ვიწრო სპეციალიზაციასა თუ მიმართულებაზე. პროგრამის მიზანი არ არის მოსწავლის პროფესიონალად ჩამოყალიბება, რაც არარელევანტურია მოსწავლეთა ასაკისა და კურსის ხანგრძლივობის გათვალისწინებით. პროგრამა ცალსახად კარიერის მართვის/პროფესიული ორიენტაციის ხასიათისაა და მისი მთავარი მიზანია მოსწავლეებს საფუძვლიანად გააცნოს პროფესია და მისცეს პროფესიაში საკუთარი ძალების მოსინჯვის შესაძლებლობა. შედეგად, კურსის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ჰქონდეს საფუძვლიანი ინფორმაცია პროფესიის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ, რის საფუძველზეც ის შელებს გააზრებული და ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილების მიღებას;
- *თითოეული გაკვეთილის გეგმა:* აღნიშნული კომპონენტი საკონკურსო განაცხადების განხილვის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, რადგან სწორედ აქ იკვეთება განმცხადებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიდგომები კურსის განხორციელებასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს თითოეული გაკვეთილის გეგმა, რომელიც მოიცავს ოთხ კომპონენტს: (1) **საგაკვეთილო თემა** - აღნიშნულ კომპონენტში მკაფიოდ უნდა ჩანდეს, თუ რა თემას ეძღვნება კონკრეტული გაკვეთილი, (2) **გაკვეთილის მიზანი** - აღნიშნულ კომპონენტში მკაფიოდ უნდა ჩანდეს, თუ რა შედეგებზე გავლენ მოსწავლეები გაკვეთილის დასრულების შემდეგ; (3) **სწავლების მეთოდები** - აღნიშნულ კომპონენტში გამცხადებლებმა უნდა წარმოადგინონ სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომელთა დახმარებითაც ისინი აპირებენ გაკვეთილზე დასახული მიზნის მიღწევას. სწავლების მეთოდები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ წინაპირობას - მეთოდები უნდა იყოს

მრავალფეროვანი და თანამედროვე, უნდა შეესაბამებოდეს გაკვეთილის თემატიკას, იყოს საგაკვეთილო მიზნების რელევანტური და უნდა იყოს მორგებული მოსწავლეების ინტერესებსა და საგაკვეთილო პროცესში ინტერაქციულობის ზრდაზე; (4) **გაკვეთილის მოკლე აღწერა** - აღნიშნულ კომპონენტში განმცხადებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა წარმოადგინონ გაკვეთილის მოკლე სქემა იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ აპირებენ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესის წარმართვას და დასახული საგაკვეთილო მიზნების მიღწევას ზევით წარმოდგენილი სწავლების მეთოდების გამოყენებით. აღწერა უნდა იყოს მოკლე, თუმცა მკაფიო და გასაგები. აღნიშნულ კომპონენტში არ არის რელევანტური იმ თემებისა და საკითხების ჩამოწერა, რომლის განხილვასაც მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში აპირებენ. მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა საკითხებს ვასწავლით, არამედ ის თუ როგორ ვასწავლით და როგორ ვგეგმავთ გაკვეთილს. **შენიშვნა:** გაკვეთილის მოკლე აღწერილობების მომზადება არ ნიშნავს იმას, რომ განმახორციელებელ დაწესებულებებს არ შეეძლებათ მოსწავლეების ინტერესებისა და კურსის მიმდინარეობის გათვალისწინებით დაგეგმილი პროცესის შეცვლა. აღნიშნული კომპონენტის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ გამოიკვეთოს განმცხადებლების დამოკიდებულებებზე კურსის გაძღოლასთან დაკავშირებით;

3.2. გიუჯეტის დანართი - ბიუჯეტის დანართი არის სამინისტროს მიერ შემუშავებულ სტანდარტულ დოკუმენტაციას, რომელიც საკონკურსო კომისიისთვის ერთ-ერთ ძირეულ დოკუმენტს წარმოადგენს. ფორმის შევსების გამარტივების მიზნით, უფრო დეტალურად განვიხილავთ დოკუმენტში შემავალ ძირითად კომპონენტებს:

- **მასწავლებლები:** აღნიშნულ კომპონენტში განმცხადებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა მიუთითონ პროფესიული და სკოლის/დამხმარე მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურება. სკოლის მასწავლებლების შემთხვევაში საათობრივი ანაზღაურება განსაზღვრულია და შეადგენს საათში 10 ლარს. პროფესიული მასწავლებლის ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მანძილზე უწევს მას გადაადგილება. **პროგრამის ფინანსური გუნდის რეკომენდაციაა, რომ პროფესიული მასწავლებლის ტრანსპორტის ხარჯი აისახოს საათობრივ ანაზღაურებაში;**
- **რეკომენდებული ადამიანური რესურსი:** შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის 2 წლიანი აქტიური მუშაობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ პოზიციების იდენტიფიკაცია, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის. ეს პოზიციებია: **პროგრამის კოორდინატორი, კარიერული კონსულტანტი, ბუღალტერი და შესყიდვების სპეციალისტი.** აღნიშნული 4 პოზიციისთვის დანართში წარმოდგენილია სტანდარტიზებული სამუშაო აღწერილობები იმ ფუნქცია-მოვალეობებით, რომელთა შესრულებაც პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პოზიციებზე წარმოდგენილ კანდიდატებს მოეთხოვებათ. თითოეულ აღნიშნულ პოზიციაზე კანდიდატის წარდგენისას განმცხადებელმა უნდა მიუთითოს კანდიდატის მიერ დაკავებული პოზიცია კოლეჯში/უნივერსიტეტში, რათა განხილვისას კომისიამ იმსჯელოს კანდიდატის შესაბამისობაზე წარმოდგენილ სამუშაო აღწერილობასთან. აღნიშნული განსაკუთრებით საგულისხმოა კარიერული კონსულტანტის პოზიციის შემთხვევაში, რომელიც საკითხის კომპლექსურობიდან და პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე კანდიდატისგან ითხოვს რელევანტურ ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას;

კოლეჯს/უნივერსიტეტს პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე შეუძლია წარმოადგინოს როგორც მოქმედი პროფესიული მასწავლებელი, ასევე წარმატებული კურსდამთავრებული. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე მისაღებია ასევე პროგრამის ფარგლებში პრაქტიკოსი სპეციალისტის/პროფესიონალის დაქირავებაც, რომელიც საფუძვლიანად ერკვევა პედაგოგიურ საკითხებშიც.

კოლეჯი/უნივერსიტეტი თავად მონაწილეობს კურსისთვის რელევანტური სკოლის/დამხმარე მასწავლებლის შერჩევაში. რეკომენდებულია, სკოლის/დამხმარე მასწავლებლის კომპეტენცია ემთხვეოდეს ან ეხმიანებოდეს განსახორციელებელი პროფესიის კურსს. მაგალითად, თუ სკოლაში დაგეგმილია „ელექტრობის“ კურსის განხორციელება, აღნიშნული კურსისთვის რელევანტურია ფიზიკის მასწავლებლის დაქირავება. თუმცა რიგ შემთხვევაში, სკოლაში შეიძლება ვერ გამოიძებნოს პროფესიისთვის რელევანტური საგნის მასწავლებელი (მაგ. სამშენებლო მიმართულებები). ამ შემთხვევაში, კოლეჯი/უნივერსიტეტი სკოლის მასწავლებლის შერჩევისას ხელმძღვანელობს კანდიდატის არაფორმალური გამოცდილებითა და პროფესიული ინტერესებით.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, პროგრამაში შეზღუდულია სკოლის დირექტორების დაქირავება და დამატებითი ანაზღაურების გადახდა. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ სკოლის დირექტორი პარალელურად სკოლის მასწავლებელია და ასწავლის კურსისთვის რელევანტურ სასკოლო საგანს. ამ შემთხვევაში ის პროგრამაში ერთვება არა როგორც სკოლის დირექტორი, არამედ როგორც საგნის მასწავლებელი. მაგალითად, თუ სკოლის დირექტორი ამავდროულად სკოლაში ასწავლის ბიოლოგიის საგანს, ის შეიძლება ჩაერთოს ბიოლოგიის მომიჯნავე პროფესიულ კურსებზე, მაგალითად: „პროფესიული უნარების განვითარების კურსი სურსათის უვნებლობაში“, „პროფესიული უნარების განვითარების კურსი შრომის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაში“ და ა.შ.

გარდა რეკომენდებული ადამიანური რესურსისა, განმცხადებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს **„სხვა ადამიანური რესურსის“** კომპონენტში შეუძლიათ წარმოადგინონ დამატებითი ადამიანური რესურსი მათი საჭიროების შესაბამისი დასაბუთებით;

- *კურსის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:* განმცხადებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დანართი უნდა წარმოადგინონ კურსის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სრული სია დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასისა და ჯამური ღირებულების გათვალისწინებით;
- *სხვა ხარჯები:* აღნიშნულ კომპონენტში უნდა გაიწეროს ის სხვა ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, თუმცა აუცილებელია პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის. პროგრამის 2 წლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, როგორც წესი აღნიშნულ კომპონენტში განმცხადებლები წარმოადგენენ სატრანსპორტო, ექსკურსიების, სერტიფიკატების ბეჭდვისა და სხვა ხარჯებს. აღნიშნული ხარჯები განმცხადებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა წარმოადგინონ ხარჯის დასახელების, მიზნობრიობის/დაჭიროების დასაბუთების, ერთეულის ფასისა და ჯამური ღირებულების გათვალისწინებით.

3.3. ფინანსური დოკუმენტაციის მომზადება - კურსის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსისა და სხვა ხარჯების გაწერის შემთხვევაში, განმახორციელებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია თითოეული რესურსისა თუ ხარჯის შემთხვევაში ბაზრის კვლევის ინფორმაციაზე დაყრდნობით - **3 სხვადასხვა კომპანიისგან წარმოდგენილი ინვოისი**. საჯარო კოლეჯებმა რიგი რესურსების შესყიდვის შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ კონსოლიდირებული შესყიდვების წესები შესყიდვების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის გამოყენებით. ამასთან, ბაზრის კვლევის ინფორმაციის წარმოდგენა აუცილებელია ექსკურსიების შემთხვევაშიც;

3.4. თანამშრომლობის მემორანდუმების მომზადება - განმცხადებელმა კოლეჯმა/უნივერსიტეტმა ზემოთჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს თანამშრომლობის მემორანდუმები როგორც პარტიორ, ისე ბენეფიციარ სკოლებთან. თანამშრომლობის მემორანდუმში მკაფიოდ უნდა ჩანდეს, რომ პარტნიორი საჯარო სკოლა თანახმაა კონკრეტული კურსი განხორციელდეს მის საჯარო სკოლაში და სკოლა აცხადებს მზადყოფნას მისივე შენობაში მიიღოს ბენეფიციარი საჯარო სკოლის მოსწავლეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამასთან, მემორანდუმში უნდა ჩანდეს, რომ საჯარო სკოლა პასუხისმგებლობას იღებს პროგრამის ფარგლებში შესყიდული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის წესისამებრ შენახვასა და მოფრთხილებაზე. განმცხადებელი კოლეჯი/უნივერსიტეტი ასევე წარმოადგენს მემორანდუმს ბენეფიციარ სკოლასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც იკვეთება, რომ სკოლა მზადაა მისმა მოსწავლეებმა ისარგებლონ ახლოსმდებარე საჯარო სკოლაში არსებული კურსით;

4. განაცხადების განხილვა - შემოსულ განაცხადებს განიხილავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია წინასწარ შემუშავებული სტანდარტიზებული კრიტერიუმების გათვალისწინებით. განხილვისა და შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე კომისიას უფლება მიიღოს გადაწყვეტილება (1) პროექტის მოწონებისა და დაფინანსების შესახებ; (2) პროექტის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ; (3) რეკომენდაცია პროექტის კორექტირების შესახებ; (4) პროექტის დაფინანსების შესახებ მოთხოვნილი ოდენობისგან განსხვავებული ოდენობით (დაწესებულების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში). კომისიის გადაწყვეტილება განმცხადებელ კოლეჯს/უნივერსიტეტს ეცნობება ოფიციალურად, წერილობითი ფორმით.

პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი

2017 წლიდან 2018 წლის ბოლომდე პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი ხორციელდებოდა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. 2019 წლიდან აღნიშნული კომპონენტი უკვე სამინისტროს შემადგენლობაში განხორციელდება იგივე ჯგუფის მიერ. პროგრამის შეფასებისა და მონიტორინგი სისტემური პროცესია, რომლის მთავარ მიზანსაც საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა და პროგრამაში გამოვლენილი გამოწვევების ერთობლივი ძალებით გამკლავება წარმოადგენს. თითოეული სემესტრის ფარგლებში შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი სამ ეტაპად ხორციელდება:

მოსწავლეთა პროგრამაზე გამოკითხვა - აღნიშნული გამოკითხვა ტარდება პროგრამის დაწყებამდე ან პროგრამის დაწყებიდან პირველი ორი კვირის მანძილზე ელექტრონულ ფორმატში, რომლის ორგანიზებასაც საჯარო სკოლა და სახელდობრ, სკოლის დამხმარე მასწავლებელი ახორციელებს. გამოკითხვის მიზანი მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გამოკვლევაა, რათა კურსი მაქსიმალურად მოერგოს მათ საჭიროებებს;

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება - სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პროცესში შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი წინასწარი გაფრთხილების გარეშე სტუმრობს კურსებს და წინასწარ შემუშავებული, სტანდარტიზებული შეფასების კრიტერიუმებით აფასებს საგაკვეთილო პროცესს. დაკვირვების საფუძველზე შეფასების ჯგუფი ამზადებს დაკვირვების ანგარიშს რეკომენდაციებით, რომლის მთავარი მიზანიც არა არსებული გამოწვევების აღრიცხვა, არამედ არსებული გამოწვევების საპასუხოდ კვალიფიციური და კოლეგიალური რეკომენდაციების მომზადება წარმოადგენს, რომელიც მიმართულია პროგრამის ეფექტურობის გაუმჯობესებაზე;

პროგრამის შედეგები გამოკითხვა - პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს პროგრამამდე გამოკითხვას ელექტრონულ ფორმატში, რომელშიც მონაწილეობენ მოსწავლეები და პროფესიული და სკოლის მასწავლებლები. გამოკითხვის მიზანი პროგრამის შემდგომი განვითარება და დახვეწაა. სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოკითხვების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი სკოლა და შესაბამისი დამხმარე მასწავლებელია, ხოლო პროფესიული მასწავლებლების შემთხვევაში - კოლეჯი/უნივერსიტეტი.

პროგრამის შედეგები თვისაზრივი კვლევა - პროგრამის შემდგომი განვითარების, არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვის მიზნით ყოველი სემესტრის ბოლოს შეფასების ჯგუფი მართავს შეხვედრებს პროგრამაში ჩართულ ყველა მხარესთან. აღნიშნული მიზნით ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები იგეგმება მოსწავლეებთან, პროფესიულ და სკოლის მასწავლებლებთან, კარიერულ კონსულტანტებთან და კოლეჯის/უნივერსიტეტისა და სკოლის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები კურსების გაძლიერებისთვის

პროფესიული და სკოლის მასწავლებლებისა და კარიერული კონსულტანტებისთვის

პროგრამის 2 წლიანი საქმიანობის შეფასების საფუძველზე, შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის ინიციატივით შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც პროფესიულ მასწავლებლებს, სკოლის მასწავლებლებსა და კარიერულ კონსულტანტებს/პროფორიენტაციის სპეციალისტებს კურსის უკეთ გაძლიერებაში დაეხმარებათ. პროექტის მენეჯმენტი და შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი მოიაზრებს, რომ წარმოდგენილი ასპექტების გათვალისწინების შემთხვევაში საგაკვეთილი პროცესი იქნება ეფექტური, მოსწავლესა და კურსის მიზნებზე ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები უნივერსალურია და მათი გათვალისწინება რეკომენდებულია ნებისმიერ პროფესიაში საგაკვეთილო პროცესის წარმართვისთვის.

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის მსვლელობისას მიმდინარეობს კურსის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი, რომლის ერთ-ერთ ფაზასაც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი დაკვირვებისას საგაკვეთილო პროცესის ეფექტურობას სწორედ ქვემოთ წარმოდგენილი ასპექტების/კრიტერიუმების მიხედვით აფასებს.

კურსის შინაარსობრივი მხარე

- **პროფესიისთვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარებაზე ორიენტირება** - პროფესიულ მასწავლებლებს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ კურსი კარიერის მართვის ხასიათისაა და შესაბამისად, კურსის მსვლელობისას მოსწავლეებს პროფესიისთვის მნიშვნელოვან უნარებში საკუთარი თავის გამორკვევის შესაძლებლობა უნდა მიეცეს. პროფესიაში თვითგამორკვევა გულისხმობს იმ უნარების გამოცდას, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროფესიისთვის მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულებისას. ყოველი პროფესია ხასიათდება უნარებით, რომელთა გარეშეც ადამიანს გაუჭირდება პროფესიული სამუშაოების/აქტივობების შესრულება. მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა მისცეს საშუალება გამოსცადოს, რამდენად კარგად აქვს განვითარებული პროფესიისთვის მნიშვნელოვანი უნარები. კურსის მიზანია, ერთი მხრივ, მოსწავლემ საკუთარი უნარებიდან გამომდინარე გააიზროს, რამდენად შესძლებს ამ პროფესიის არჩევის შემთხვევაში პროფესიული სამუშაოების მარტივად შესრულებას, ხოლო მეორე მხრივ, მიეცეს პროფესიისთვის მნიშვნელოვანი უნარების საბაზო დონეზე განვითარების შესაძლებლობა. ცალსახაა, რომ პროფესიული უნარების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული სამუშაოების შესრულებით, შედეგად, მასწავლებელმა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების პროცესში მოსწავლეებს პროფესიისთვის მნიშვნელოვან უნარებზე ორიენტირებული სამუშაოები უნდა შეუზღუდოს.
- **მოსწავლეთათვის პროფესიის უმაღლესი აქტივობების სწორად შეჩვენება** - აღნიშნული კურსის მიზანია, მონაწილემ მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებით და საკუთარი ხელით მოსინჯოს ძალები პროფესიისთვის დამახასიათებელ ყველა მნიშვნელოვან სამუშაოზე.

გასათვალისწინებელია, რომ ხშირად მასწავლებლები უსაფრთხოების საკითხებზე გადაჭარბებული ზრუნვის მიზეზით, არიდებენ მოსწავლეებს პრაქტიკულ სამუშაოებს და მხოლოდ სამუშაოს შესრულების დემონსტრირებით შემოიფარგლებიან. რასაკვირველია, მონაწილეთა უსაფრთხოების საკითხებზე ზრუნვა უმთავრესია, თუმცა მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ მოსწავლე პროფესიაზე ნათელ წარმოდგენას პრაქტიკული სამუშაოს შესრულებით უფრო შეიქმნის, ვიდრე დაკვირვებითი და მასწავლებლის დემონსტრირებით. შესაბამისად, მასწავლებლის ამოცანაა, შეარჩიოს პროფესიის სამუშაოთა სპექტრიდან ისეთი სამუშაოები, რომლებიც რელევანტური იქნება მოსწავლეებისთვის სირთულის მიხედვით (ასაკის, მზაობის და შესაძლებლობის გათვალისწინებით) და ჩართოს ისინი პრაქტიკული სამუშაოს შესრულების პროცესში. შედეგად, მოზარდი არ შეიზღუდება პრაქტიკული აქტივობების დამოუკიდებლად შესრულებისგან, არ აღმოჩნდება მხოლოდ პასიური დამკვირვებლის / მსმენელის როლში; მასწავლებელი კი არ შემოიფარგლება მონაწილეებისთვის აქტივობების მხოლოდ ჩვენებით, არამედ ჩართავს მათ პრაქტიკულ საქმიანობაში, რომლებსაც მოზარდები დამოუკიდებლად ან სუპერვიზიით ეფექტურად გაუმკლავდებიან უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით / დაცვით.

- **სასწავლო პროცესის გაჯერება ფუნქციური, შედეგზე ორიენტირებული აქტივობებით** - სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, რაზე დაფუძნებითად მათ მიიღეს კურსის არჩევის გადაწყვეტილება. როგორც წესი, მოსწავლეთა გადაწყვეტილება ეფუძნება პროფესიისთვის დამახასიათებელ საკვანძო პროფესიულ აქტივობებს, რომლებიც განსაკუთრებით მომხივლებელია მათთვის. შესაბამისად, რეკომენდებულია მასწავლებელმა არ გადაავადოს პროფესიის საკვანძო აქტივობებზე მუშაობა და გადაჭარბებულად დიდი დრო არ დაუთმოს თეორიულ საკითხებს ანდა ამა თუ იმ საკითხზე იზოლირებულად მუშაობას.

საკვანძო სწავლის შედეგზე მუშაობა რეკომენდებულია პირველივე შეხვედრაზე დაიწყოს მონაწილეების წინაშე მარტივი, მაგრამ ფუნქციური გამოწვევის / აქტივობის წარდგენით და უწყვეტ რეჟიმში, მთელი მოდულის მანძილზე გააგრძელოს. ასე მონაწილეს თანმიმდევრულად გაუფართოვდება ხედვა პროფესიასა და მის შემადგენელ აქტივობებზე და აუმაღლდება პროფესიული აქტივობების შესრულების მოტივაცია.

- **ცოდნის გაზიარება** - პროფესიული უნარების კურსის მსვლელობისას პროფესიულ მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ მისი მიზანი არ არის მოსწავლის პროფესიონალად ჩამოყალიბება. კურსის მიზანია, მოსწავლემ მიიღოს ზოგადი ცოდნა პროფესიის შესახებ, რათა სურვილის შემთხვევაში, შესძლოს მისი გაღრმავება მომავალში, პროფესიულ პროგრამაზე ჩაბარებისას. კურსის მსვლელობისას პროფესიულმა მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მისი ბენეფიციარების (სკოლის მოსწავლეების) საჭიროებები და შეეცადოს, არ ჩავიდეს ისეთი პროფესიულ სიღრმეებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტისთვის. საგულისხმოა, რომ მოკლევადიანი საორიენტაციო კურსის თეორიული და სიღრმისეული პროფესიული ცოდნით გაჟღენთვამ შეიძლება გადაღლოს სტუდენტები და არასასურველ მიზნამდე მიგვიყვანოს - მოსწავლეს მოსწყინდეს კურსის გავლა და აღარ განიხილოს პროფესიაზე სწავლის გაგრძელება მომავალში. ღრმა პროფესიული თემების განხილვა შესაძლებელი და მოწონებულია იმ შემთხვევაში, თუკი ჯგუფი გამოხატავს ინტერესსა და მზაობას, გაუმკლავდეს მსგავსი სირთულის პროფესიულ ცოდნას.

პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის მენეჯმენტი და შეფასებისა და მენეჯმენტის ჯგუფი მიესალმება თეორიული მასალის მიწოდებას პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას. **გამონაკლის შემთხვევაში**, განხილული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მასწავლებელმა ჯერ თეორიული ცოდნა მიაწოდოს მოსწავლეებს, ხოლო შემდგომ მისცეს პრაქტიკული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა. ამგვარი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თეორიული ცოდნის გარეშე პრაქტიკული სამუშაოს შესრულება შეუძლებელია ან გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული.

➤ **სწავლის შედეგაზე მუშაოს თანმიმდევრობა** - მოდულში სასწავლო შედეგები წარმოდგენილი ცალ-ცალკე და დანომრილია გარკვეული თანმიმდევრობით, რაც გარკვეულწილად მიანიშნებს კურსის მსვლელობისას შედეგების მიღწევის თანმიმდევრობაზე. თუმცა, მოდული პროფესიულ მასწავლებელს მეტი მოქნილობის შესაძლებლობას აძლევს. მასწავლებელს შეუძლია თითოეულ გაკვეთილზე განიხილოს ერთი ან მეტი სასწავლო შედეგი, თუ სასწავლო შედეგები და განხილული თემა ამის საშუალებას იძლევა. დაუშვებელია, მოსწავლეების გადატვირთვა და იმაზე მეტი საკითხის განხილვა, ვიდრე მოსწავლეებს ეს შეუძლიათ, შესაბამისად, მასწავლებელმა ფრთხილად უნდა შეარჩიოს გაკვეთილის მანძილზე განსახილველი სასწავლო შედეგებისა თუ საკითხების რაოდენობა.

მაგალითად, სამკურნალო მცენარეების კურსის შემთხვევაში, მასწავლებელმა შეიძლება გადაწყვეტოს კონკრეტულ გაკვეთილზე ისაუბროს ანტიანთებულ სამკურნალო მცენარეებზე (**მეორე სწავლის შედეგი**). რეკომენდებულია, ანტიანთებით სამკურნალო მცენარეების განხილვისას მასწავლებელმა ისაუბროს ამ მცენარესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე, რომლებიც განფენილია სხვა სასწავლო შედეგებში. ასე მაგალითად, ანტიანთებითი მცენარეების მახასიათებლებისა და გამოყენების თავისებურებების განხილვის შემდეგ, სასურველია მასწავლებელმა აქვე განიხილოს ანტიანთებითი მცენარეების ჩარგვისთვის საჭირო ნიადაგის დამუშავების სამუშაოები (**კულტივირება - მესამე სწავლის შედეგი**), ისაუბროს ანტიანთებითი მცენარეების დარგვისა და მოვლის თავისებურებებზე და მოსწავლეებთან ერთად შეასრულოს შესაბამისი აქტივობები (**მცენარის დარგვა და მოვლა - მეოთხე სწავლის შედეგი**). ამავე გაკვეთილზე შესაძლოა მასწავლებელმა ვერ მოასწროს ველზე მოსწავლეთა გაყვანა ანტიანთებითი მცენარეების შესაგროვებლად, მაგრამ ისაუბროს ამ ტიპის მცენარეების შეგროვების თავისებურებებსა და სეზონურობაზე (**მცენარეთა შეგროვება - მეხუთე სწავლის შედეგი**). ანტიანთებითი მცენარეებზე საუბრისას სასურველია მასწავლებელმა ასევე ისაუბროს ანტიანთებითი მცენარეების გამოყენების თავისებურებებზე, მათი რეალიზაციის შესაძლებლობებსა და ანტიანთებითი მცენარეების პროდუქციის გაყიდვების განვითარების პერსპექტივებზე (**ინფორმაცია პროფესიის შესახებ - პირველი სწავლის შედეგი**). ანტიანთებითი მცენარეების კულტივირების, დარგვის, მოვლისა და შეგროვების საკითხების განხილვისას მასწავლებელს ასევე შეუძლია ისაუბროს იმ ტექნიკურ-მატერიალურ რესურსებზე, რომელთა გამოყენებაც საჭიროა ამგვარი სამუშაოების შესრულებისას და განმარტოს, პროფესიული უსაფრთხოების იმ ნორმებს, რომელთა გათვალისწინებაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ მოდულებში სწავლის შედეგები გარკვეული თანმიმდევრობით არის დალაგებული (და პირობითად დანომრილია), ეს ყოველთვის არ გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელმა ჯერ ერთი სასწავლო შედეგამდე უნდა მიიყვანოს მოსწავლეები და მხოლოდ ამის

შემდეგ გადავიდეს მეორე სწავლის შედეგზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელი და რთულია (ზოგჯერ კი არარეკომენდებულიც არის) ერთ შეხვედრაზე მხოლოდ ერთ სწავლის შედეგზე მუშაობა. გაუმართლებელია, ერთმანეთთან დაკავშირებული თემების გახლიჩვა და მათი სხვადასხვა გაკვეთილზე განხილვა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი სხვადასხვა სასწავლო შედეგებშია წარმოდგენილი.

- **დრო თითოეული შედეგის მისაღწევად** - მასწავლებლის ამოცანაა ყოველი სწავლის შედეგისთვის განსაზღვროს ის ოპტიმალური დრო (საკონტაქტო საათების თუ შეხვედრების რაოდენობა), რაც მოცემული შედეგის მისაღწევად იქნება საჭირო. არ არის აუცილებელი კურსზე დათმობილი 20/24 შეხვედრა მასწავლებელმა თანაბრად გადაანაწილოს სწავლის შედეგებზე, მაგრამ მას აქვს ვალდებულება თითოეულ სწავლის შედეგს იმდენი დრო, რამდენის შედეგის მიღწევისთვის არის საჭირო. ბუნებრივია, შინაარსიდან, შესრულების სპეციფიკიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ხვადასხვა სწავლის შედეგი განსხვავებული დროს საჭიროებს. ხშირს შემთხვევაში, კონკრეტული სწავლის შედეგის მისაღწევად საჭიროა არა ერთი ან თუნდაც 5 შეხვედრა, არამედ ყველა შეხვედრა, რათა მოსწავლემ შესძლოს მისი დაუფლება მრავალმხრივ და სიღრმისეულად – ყველა მოცემული შესრულების კრიტერიუმის დაცვით. მაგალითად, კარიერის მართვის სასწავლო შედეგი ყველა მოდულში გაწერილია ყველა შეხვედრაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი ყოველ გაკვეთილზე უნდა ამახვილებდეს აქცენტს პროფესიის მახასიათებლებზე და სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას აწვდიდეს პროფესიის შესახებ. ზემოთ მოცემული ცხრილიდან ნათელია, რომ ინსტრუქტორი სწავლის პროცესში პარალელურად რამდენიმე შედეგზე ერთდროულად არის ორიენტირებული.

პრაქტიკული სამუშაოს შესრულება

- **პრაქტიკული კომპონენტისთვის დათმობილი დრო** - იქიდან გამომდინარე, რომ კურსი კარიერის მართვის კომპონენტებს შეიცავს, პროგრამის მენეჯმენტი მიესალმება, თუ საგაკვეთილი პროცესის დიდი ნაწილი დაეთმობა პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას და მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ საკუთარი ძალები რეალურ სამუშაო გარემოში მოსინჯონ. პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის მენეჯმენტი და შეფასებისა და მენეჯმენტის ჯგუფი მიესალმება თეორიული მასალის მიწოდებას პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას. **გამონაკლის შემთხვევაში**, განხილული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მასწავლებელმა ჯერ თეორიული ცოდნა მიაწოდოს მოსწავლეებს, ხოლო შემდგომ მისცეს პრაქტიკული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა. ამგავრი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თეორიული ცოდნის გარეშე პრაქტიკული სამუშაოს შესრულება შეუძლებელია ან გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული.
- **თეორიული და პრაქტიკული სწავლების გალაგება** - „კითხვით სწავლა“ - მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მისაღწევად, მნიშვნელოვანია მოსწავლეები გარკვეული დოზით დაეუფლონ შესაბამის თეორიულ ცოდნად. რეკომენდებულია, თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული საქმიანობის ერთმანეთთან შერწყმა, რაც მოსწავლეებისთვის გაცილებით საინტერესოა, ვიდრე თეორიული ლექციების მოსმენა, რაც ისედაც ტიპურია სასკოლო განათლების საფეხურზე. პროფესიული მასწავლებლის მიზანია, პროფესიული უნარების განვითარების კურსზე მოსწავლეებს შესთავაზოს სკოლისგან განსხვავებული სასწავლო გაკვეთილი, რაც პოზიტიურად განაწყოფს მოსწავლეებს კურსისა და პროფესიისადმი.

გარდა ამისა, არ არის რეკომენდებული მასწავლებელმა საგაკვეთილო დროის ერთი ნაწილი დაუთმოს თეორიული მასალის ახსნას, ხოლო მეორე ნაწილი - პრაქტიკულ სამუშაოს. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში გავრცელებული პრაქტიკაა, შეხვედრის / სასწავლო პროცესის დაწყება თეორიული მასალის გაცნობით (თეორიული მასალის მიწოდებით), თუმცა ამ დროს, მოსწავლეებს ხანგრძლივი დროით უწევდათ პასიური მსმენელების როლში დარჩენა, რაც მათთვის ნაკლებ სახალისო და ეფექტურია. ამის საპირისპიროდ, რეკომენდებულია, თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული საქმიანობის ერთმანეთთან შერწყმა. ასე მოსწავლეები შეძლებენ უკეთ ჩაწვდნენ მის არსს და მნიშვნელობას და პრაქტიკაში განიმტკიცონ მიწოდებული თეორიული მასალა.

კურსის მიზნებიდან გამომდინარე, ცალსახად სასურველია თეორიული მასალის მიწოდება პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას, რაც მოსწავლეს თეორიული მასალის მარტივად აღქმისა და პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობას მისცემს. აღნიშნული მიდგომა მარტივად შესრულებადია საგაკვეთილო პროცესში, თუკი მასწავლებელი თეორიულ საკითხებს პრაქტიკული აქტივობების შესრულების დროს წარადგენს და განიხილავს (ანალოგიურად, თეორიული ცოდნის გადამოწმება შესაძლებელია არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გამოკითხვით, როგორც ამას უმრავლეს შემთხვევაში აკეთებენ, არამედ მოსწავლეთა პრაქტიკულ აქტივობაზე დაკვირვებით.) თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ გამონაკლის შემთხვევებში, ყოველ პროცესში შესაძლოა არსებობდეს საკითხები, რომელთა შესრულება პარალელურად თეორიული მასალის განხილვის პარალელურად ვერ მოხერხდება. გამონაკლის შემთხვევაში, თუკი პრაქტიკული სამუშაოს შესრულება თეორიული ცოდნის გარეშე შეუძლებელია ან გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული, მასწავლებელს აქვს უფლება ჯერ თეორიული ცოდნა მიაწოდოს მოსწავლეებს, ხოლო შემდგომ სთხოვოს პრაქტიკულ სამუშაოებში ჩართვა.

➤ **ჩვენება-შესრულება** - იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული კურსი ორიენტირებულია პრაქტიკული სამუშაო უნარების განვითარებაზე (რაც ცხადია არ გამორიცხავს ზოგადი პროფესიული ცოდნის მიღებასაც), მნიშვნელოვანია, პრაქტიკული სწავლებისას მასწავლებელი დარწმუნდეს, რომ მოსწავლეებს კარგად აქვთ გააზრებული სამუშაოს შესრულების სპეციფიკა და სწორად შეუძლიათ სამუშაო დავალებების შესრულება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად იდეალური მეთოდია „ჩვენებით სწავლება“ - მასწავლებელი ჯერ თავად ასრულებს სამუშაოს, ზეპისტყვიერი ახნით მოსწავლეებს ეხმარება სამუშაოს შესრულების სპეციფიკაციების გააზრებისაში და ხოლო შემდეგ მკაცრი ზედამხედველობისა და დეტალური უკუკავშირის მიწოდების პირობებში აძლევს მოსწავლეებს სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, დაკვირვების საშუალებით, მოსწავლეები უკეთ გაიაზრებენ სამუშაოს სპეციფიკას და ჯგუფურად თუ ინდივიდუალურად უკეთ შეძლებენ სამუშაოს შესრულებას.

➤ **მოსწავლეთა ჩართულობა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების პროცესში** - იქიდან გამომდინარე, რომ კურსი კარიერის მართვის კომპეტენციების გაძლიერებაზეა ორიენტირებული, ყველა მოსწავლეს უნდა მიეცეს პროფესიისთვის დამახასიათებელი ტიპური სამუშაოების საკუთარი ხელით შესრულების შესაძლებლობა, რათა თითოეულმა მათგანმა შესძლოს საკუთარი ძალების მოსინჯვა ამგვარ სამუშაოებში, რაც ხელს შეუწყობს გააზრებული და ინფორმირებული პროფესიული გადაწყვეტილების მიღებას. მასწავლებელმა საგაკვეთილო პროცესი ისე უნდა დაგეგმოს, რომ გაკვეთილზე განხილული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა ყველა მოსწავლეს მიეცეს, ამისთვის კი გასათვალისწინებელია კურსზე მოსწავლეთა რაოდენობა. ზოგიერთი

პროფესიის შემთხვევაში შესაძლებელია ჯგუფში 18-20 მოსწავლის დასწრება, თუმცა უფრო მეტად პრაქტიკული პროფესიების შემთხვევაში, როგორცაა მაგალითად, სანტექნიკური სამუშაოები, ელექტრობა, კულინარია და ა.შ. ჯგუფში მოსწავლეთა რეკომენდებული რაოდენობა იკლებს, რათა (1) ყველა მოსწავლეს მიეცეს კონკრეტული სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა და (2) თავად მასწავლებელმაც შესძლოს თითოეული მოსწავლის შესრულების კონტროლი და დროული უკუკავშირის მიწოდება.

➤ **ჯგუფური პრაქტიკული სამუშაო** - პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას, რეკომენდებულია, მასწავლებელმა სწავლების ისეთი მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენოს, როგორცაა მაგალითად, ჯგუფური სამუშაო. ამ შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეებს რამდენიმე ჯგუფად ყოფს (მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით) და შესასრულებლად გარკვეულ დავალებას/სამუშაოს სთავაზობს. ჯგუფებზე სამუშაოს გადანაწილებისას მართალია მისასაღებელია მრავალფეროვანი სამუშაოების შეთავაზება მოსწავლეებისთვის, თუმცა არ არის რეკომენდებული სხვადასხვა სასწავლო შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული აქტივობები სხვადასხვა ჯგუფს გადაუნაწილოთ. მაგალითად, სამკურნალო მცენარეების შემთხვევაში, დაუშვებელია მასწავლებელმა ერთ ჯგუფს დაავალოს ანტიანთებითი მცენარეების დარგვა, ხოლო მეორე ჯგუფს, შარდმდენი მცენარეების კულტივირება, ვინაიდან მოდულში ორივე სხვადასხვა სასწავლო შედეგს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, მოსწავლეთა ერთი ჯგუფი შესძლებს მხოლოდ ანტიანთებითი მცენარეების დარგვის შესწავლას, ხოლო მეორე ჯგუფი - შარდმდენი მცენარეებისთვის ნიადაგის კულტივირებას. შედეგად, ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს ორივე სასწავლო შედეგის მიღწევას.

ახალი მასალის ახსნა

➤ **მოსწავლეთა ინტერაქტივის გათვალისწინება** - იქიდან გამომდინარე, რომ კურსი კარიერის მართვის ხასიათისაა, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. მასწავლებლის მიზანია, სასწავლო შედეგების გავლის პარალელურად, მოსწავლეებს მისცეს მათთვის საინტერესო სამუშაოების შესრულების შესაძლებლობა, რაც კიდევ უფრო დაეხმარება მათ პროფესიისადმი ინტერესის გაღვივებაში. ახალი საკითხის ახსნისას, მასწავლებელმა მეტი დრო უნდა დაუთმოს მოსწავლეების ინტერესების შეფასებას და საგაკვეთილო პროცესის მსვლელობისას შეეცადოს, მოსწავლეებს მიაწოდოს ის ინფორმაცია და შეასრულებინოს ის სამუშაოები, რომლებიც მათ აინტერესებს.

➤ **მოსწავლეთა გამოცდილების გათვალისწინება** - ახალი საკითხით მოსწავლეთა დაინტერესებისთვის ეფექტური მეთოდია მათი გამოცდილების შეფასება, გაზიარება და საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების დაკავშირება ამ გამოცდილებასთან. გაკვეთილის დაწყებისას ან/და ახალი მასალის ახსნისას მნიშვნელოვანია, მასწავლებელი დაინტერესდეს, შეუსრულებიათ თუ არა მოსწავლეებს აღნიშნული სამუშაო, როგორ შეუსრულებიათ და რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ ისინი ან/და რა წარმოდგენები/ვარაუდები აქვთ მოსწავლეებს აღნიშნული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით. ხშირ შემთხვევაში, აღმოჩნდება, რომ კონკრეტულ სამუშაოებს მოსწავლეები არასწორად ასრულებენ, ამგვარი მიდგომა კი მასწავლებელს მოსწავლეთა ქცევის/სამუშაო აქტივობების შეცვლის/კორექტირების საშუალებას მისცემს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და გაკვეთილზე ნასწავლის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

➤ **მოსწავლეთა იდეების გათვალისწინება** - ახალი საკითხით მოსწავლეთა დაინტერესებისთვის სასურველია მასწავლებელმა წახალისოს მოსწავლეთა იდეები კონკრეტული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით. ხშირად, მოსწავლეებს ძალიან საინტერესო და შემოქმედებითი იდეები აქვთ კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებით. რეკომენდებულია, ახალი სამუშაოს შესრულებამდე, მასწავლებელმა ჰკითხოს მოსწავლეებს, მათი აზრით, როგორ შეიძლება ამ სამუშაოს შესრულება. ამგვარი აქტივობა მოსწავლეებს რთავს საგაკვეთილო პროცესში, ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას და საგაკვეთილო პროცესის ინტერაქციულობას.

➤ **ახალი მასალის ახნისას წინარე ცოდნის გათვალისწინება** - მნიშვნელოვანია, პროფესიულმა მასწავლებელმა ახალი მასალა მოსწავლეთა წინარე ცოდნას დაუკავშიროს, რაც სტრუქტურირებული ცოდნის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. წინარე ცოდნაში იგულისხმება, როგორც წინა გაკვეთილებზე გავლილი საკითხები, ასევე ცოდნა, რომელიც მოსწავლემ სხვადასხვა გარემოში ან/და სიტუაციაში მიიღო. შედეგად, ახალი მასალის ახნისას მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მეტი დრო დაუთმოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას და შეეცადოს, საგაკვეთილო პროცესში აღარ დაუთმოს დიდი დრო იმ საკითხების განხილვას, რომლებზე ინფორმაციასაც მოსწავლეები ისედაც ფლობენ. ასე მასწავლებელს შეეძლება ნათელი წარმოდგენა იმ წინარე ცოდნაზე, რაც მოსწავლეებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გააჩნიათ, რის საფუძველზეც, საფუძველზე მასწავლებელი შესძლებს გადასაცემი ცოდნის და საჭირო აქცენტების ზუსტ განსაზღვრას. შედეგად, ის თავიდან აიცილებს უკვე ცნობილი ინფორმაციის დუბლირებას და მეტ აქცენტს ახალ მასალაზე გაამახვილებს. ნაცვლად მონოლოგურ რეჟიმში საუბრისა, მასწავლებელს მოუწევს დისკუსიის წარმართვა და წახალისება.

სხვა შემთხვევაში, საგაკვეთილო პროცესი დიდი ალბათობით მოსაწყენი იქნება მოსწავლეებისთვის, რაც გამოიწვევს მოტივაციისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კლებას, ხოლო სისტემატურ რეჟიმში, მოსწავლეთა გაცდენებსა და კურსის მიმართ ნეგატიური განწყობების ჩამოყალიბებას შეიწყობს ხელს, რაც შესაძლოა მოსწავლემ პროფესიაზეც განაზოგადოს.

➤ **სასკოლო საგნებში მიღებული ცოდნის ინტეგრირება** - პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში ჩართული პროფესიების უმრავლესობა ითხოვს რიგ სასკოლო საგნებში მოსწავლეთა ცოდნას. არ არსებობს პროფესია, სადაც ვერ მოხერხდება სასკოლო საგნებში მიღებული ცოდნის გამოყენება. შედეგად, პროფესიული მასწავლებელი უნდა ეცადოს სკოლაში მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნა საგაკვეთილო პროცესში გამოიყენოს. რეკომენდებულია, ახალი მასალის ახნისას მასწავლებელმა ჰკითხოს მოსწავლეებს, რა ისწავლეს მათ ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლაში. მაგალითად, სურსათის უვნებლობის კურსის შემთხვევაში შესაძლებელია ბიოლოგიაში, ქიმიაში, ფიზიკაში და მათემატიკაში მიღებული ცოდნის გათვალისწინება, სამკურნალო მცენარეების, მეხილეობის, ფლორისტიკის და მეზღვრობის კურსების შემთხვევაში - ბიოლოგიის, ქიმიის და ბოტანიკის ცოდნის, ხოლო ფრინველთა და ცხოველთა მოვლის და მეფუტრეობის შემთხვევაში, ზოოლოგიაში მიღებული ცოდნის გამოყენება.

➤ **ახალი მასალის ახნის სივარტივე** - ახალი მასალის/საკითხის ახნისას, რეკომენდებულია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს კურსის ბენეფიციართა მახასიათებლები და შეეცადოს, მარტივი სიტყვებით ახსნას თეორიული მასალა. კურსის მიზნებიდან გამომდინარე, მასწავლებელი უნდა

მოერიდოს რთული პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებას ან მათი გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში, მკაფიოდ განმარტოს მათი შინაარსი. პროფესიულ მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ აღნიშნული კურსის მიზანია არა სკოლის მოსწავლეთა პროფესიონალებად ჩამოყალიბება, არამედ პროფესიის ზოგადი გაცნობა, რაც რთული პროფესიული ტერმინების გამოყენების გარეშე შესაძლებელია. რთული ენით საუბარი შესაძლოა გაუგებარი და დამტვირთველი იყოს მოსწავლეებისათვის, რამაც შესაძლოა მოტივაციის კლება, საგაკვეთილო პროცესში დაბალი ჩართულობა და არასასურველი შესრულების ხარისხი გამოიწვიოს, რაც თავისმხრივ უარყოფითად მოქმედებს მოსწავლის პროფესიისადმი დადებითი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე.

- **სწავლების მრავალფეროვანი სტატეგიების გამოყენების აუცილებლობა ახალი მასალის ახნისას** - ახალი საკითხით მოსწავლეთა დაინტერესებისთვის სასურველია მასწავლებელმა სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები გამოიყენოს. საგულისხმოა, რომ კურსის ბენეფიციარები არიან სკოლის მოსწავლეები, შესაბამისად, მასწავლებელს უწევს

უფრო მრავალფეროვანი სწავლების მეთოდების გამოყენება მოსწავლეთა დაინტერესებისთვის, ვიდრე ეს საჭიროა პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც შესაძლოა ისედაც მკაფიოდ ჩამოყალიბებულნი იყვნენ საკუთარ მიზნებში და არ საჭიროებდნენ დამატებით მოტივაციას. მასწავლებელი ახალი მასალის ახნისას ყოველთვის უნდა ცვდილობდეს ისეთი მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენოს, როგორცაა: პრეზენტაცია, სალექციო მეთოდი, დისკუსია, ვიდეო ან ფოტო მასალა, ექსკურსია, პრაქტიკული სამუშაო, ჯგუფური და ინდივიდუალური სამუშაო და ა.შ. ქართული საგანმანათლებლო სფეროსთვის დამახასიათებელი სალექციო, თეორიული გაკვეთილის მეთოდის გამოყენება აღნიშნულ კურსზე ცალსახად არ არის მოწონებული და რეკომენდებული კურსის მენეჯმენტისა და შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის მიერ.

მოტივაცია, ნახალისება, უკუკავშირი და შეფასება

- **მოსწავლეთა კითხვაზე რეაგირება** - პროფესიული მასწავლებელი უნდა შეეცადოს საგაკვეთილო პროცესში შექმნას ისეთი გარემო, რომ მოსწავლეებს კითხვების დასმის, მსჯელობისა და დისკუსიისთვის წახალისებს. რეკომენდებულია, მასწავლებელმა ინიცირება გაუწიოს მოსწავლეთა კითხვებს და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს მათთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით.
- **აზრის გამოხატვის შესაძლებლობა** - პროფესიული მასწავლებელი უნდა შეეცადოს საკლასო ოთახში შექმნას ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს საკუთარი აზრისა და შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა ექნებათ. მასწავლებელი გაგებითა და ინტერესით უნდა ეკიდებოდეს მოსწავლის ნებისმიერ იდეას, მოსაზრებასა თუ შეხედულებას, აძლევდეს მათ აზრის რეალიზაციის/გაყდერების საშუალებას. აზრისა და შემოქმედებითობის გამოხატვის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად მოქმედებს მოსწავლეთა მოტივაციასა და სასწავლო პროცესის ინტერაქციულობაზე.
- **შეჯიბვა** - საგაკვეთილო პროცესის მსვლელობისას პროფესიულმა მასწავლებელმა პოზიტიური უკუკავშირი უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს სამუშაოს წარმატებით შესრულების, მცდელობისა და გაწეული ძალსხმევის გამო. საგულისხმოა, რომ მოწავლის შექება და წახალისება ყოველთვის

არგუმენტირებული და დასაბუთებული უნდა იყოს, რათა მოსწავლეს კონკრეტული სამუშაო ქცევა განუმტკიცდეს. თუკი მასწავლებელი არ დაასაბუთებს შექების მიზეზს, მოსწავლე შეიძლება ვერ მიხვდეს რა გააკეთა სწორად და შესაბამისად, მოწონებული ქცევა აღარ გაიმეოროს მომავალში.

- **უკუკავშირის მიწოდება შესრულებასთან დაკავშირებით** - მასწავლებელი უნდა შეეცადოს ყოველთვის აკვირვებოდეს მოსწავლეთა შესრულების პროცესს და დაუყოვნებლივ უკუკავშირს აწვდიდეს მათ შესრულებასთან დაკავშირებით. უმეტეს შემთხვევაში, დაგვიანებული უკუკავშირი პოზიტიურად ვეღარ მოქმედებს სამუშაო ქცევის განვითარება/დახვეწაზე. რეკომენდებულია, მოსწავლე სამუშაო ქცევაზე დაკვირვების პროცესში პროფესიულ მასწავლებელმა დაიხმაროს სკოლის მასწავლებელი (კურსის სკოლაში მიმდინარეობის შემთხვევაში) ან ასისტენტ-მასწავლებელი (კურსის პროფესიულ კოლეჯში მიმდინარეობის შემთხვევაში), რათა ყველა მოსწავლის შესრულების პროცესის მონიტორინგი შესძლოს. პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას მოსწავლემ ყოველთვის უნდა იცოდეს, რა შეასრულა კარგად და რისი გამოსწორება იქნება უკეთესი.
- **წახალისება და მხარდაჭერა** - მოსწავლეთა შესრულების პროცესზე მუდმივი დაკვირვება დროული წახალისების შესაძლებლობას იძლევა. პროფესიული მასწავლებელი უნდა შეეცადოს წახალისოს მოსწავლეთა აქტიურობა, შესრულება, ინტერესი და საჭიროების შემთხვევაში, დახმარება და მხარდაჭერა აღმოუჩინოს მას. მაგალითად, თუკი პროფესიული მასწავლებელი ხედავს, რომ მოსწავლეს უჭირს სამუშაოს შესრულება, უნდა შეეცადოს წახალისოს და გაამხნევოს ის.
- **შეთავაზება დახმარებაში** - მთელი საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში, მასწავლებელი მუდმივად უნდა იყოს მზად მოსწავლეთა დახმარებაზე. საგულისხმოა, რომ არსებობენ მოსწავლეები, რომლებიც თავად ითხოვენ დახმარებას, ხოლო ამის პარალელურად, ზოგიერთ მოსწავლეს უჭირს დახმარების თხოვნა. რეკომენდებულია, მასწავლებელი აკვირდებოდეს მოსწავლეთა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში, ყოველთვის სთავაზობდეს მათ შესაბამის დახმარებას.
- **დასწავლილი მასალის შეჯამება** - საგაკვეთილო პროცესის ბოლოს მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა მოსწავლემ გაიაზრა გაკვეთილზე ახალი მასალა და შეძლო სამიზნე სამუშაოს შესრულება. გაკვეთილზე განხილული საკითხის შეჯამებისას არ არის საკმარისი მხოლოდ კითხვების დასმა. ამ შემთხვევაში, პასუხის გაცემისას მოსწავლეთა ნაწილი აქტიურობს, ხოლო ნაწილი - არა. სასურველია, პროფესიულმა მასწავლებელმა მასალის შეჯამებისთვის გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი, მაგალითად: კითხვების დასმა, დისკუსია, პრეზენტაცია, პრაქტიკული სამუშაოს შესრულება და ა.შ. და პროცესში ყველა მოსწავლე ჩართოს. ამ შემთხვევაში, მასწავლებელს ყოველთვის უწევს მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება.
- **მოსწავლეთა შესრულების განხილვა ინდივიდუალურად** - გაკვეთილის ბოლოს მნიშვნელოვანია მასწავლებელმა თითოეულ მოსწავლესთან განიხილოს რა სამუშაოს გაუმკლავდნენ წარმატებით და რა სამუშაოების შესრულება გაუჭირდათ მათ. აუცილებელია,

მასწავლებელმა მოსწავლესთან ერთად დაგეგმოს შესრულების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებები და მოსწავლეს მისცეს პრაქტიკული რჩევები, თუ როგორ შეასრულოს კონკრეტული სამუშაო უკეთ. კურსის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოსწავლემ გაიაზროს, რა სამუშაოს შესრულება გამოსდის მას წარმატების და რისი არა.

- **რეფლექცია** - იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს იმ უნარის ეფექტურად დაუფლება რაც სწავლის შედეგებით არის გათვალისწინებული, მნიშვნელოვანია, ის მუდმივად ახდენდეს რეფლექსიას თავის შესრულებაზე და პროგრესზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მასწავლებელმა ყოველ ჯერზე (შეხვედრაზე) წახალისოს მოსწავლის მხრიდან მიმდინარე შეხვედრის, განხორციელებული აქტივობების და / ან მიღებული პროდუქტის შეფასება;

შედეგის და თავისი შესრულების შეჯამება; პროცესის კრიტიკულად განხილვა და დამოკიდებულების გამოხატვა: (რა გამოუვიდა? რა გაურთულდა? რა აღმოჩნდა მოსაწყენი? რა ცოდნა გამოადგა? რა ცოდნა დააკლდა? რას შეასრულებდა განმეორებით? სად დასჭირდა დახმარება? რა იქნება მეტად გასავარჯიშებელი? რა გზას უნდა მიმართოს ამისთვის? და სხვ.) ასეთი განხილვა მასწავლებელმა შესაძლებელია რეგულარულად ყოველი შეხვედრის წინ და დასრულებისას გააკეთოს. საწყის ეტაპზე, შესაძლებელია მას თვითონ დასჭირდეს მაგალითის მიცემა მონაწილეებისთვის, მაგ. თავისი შესრულების კრიტიკულად განხილვა, სხვა მონაწილის შესრულების მოწონება და ა.შ. მისასაღებელია, თუკი მასწავლებელს მეთვალყურეობიდან არ გამორჩება არც ერთი მოსწავლის პრაქტიკული საქმიანობა და მონაწილეს უშუალოდ კეთების / პრაქტიკის პროცესში გაესაუბრება, დაუსვამს შესაბამის შეკითხვებს რათა გაარკვიოს თუ რა ხიბლავს მონაწილეს აღნიშნულ აქტივობაში, რის გააზრება ან და რის შესრულება უჭირს მას და ა.შ.

რეფლექსიის უნარის გავარჯიშება დაეხმარება მოსწავლეს ობიექტურად იმსჯელოს თავის პროგრესზე და ნელნელა აღმოაჩინოს და ჩამოიყალიბოს დამოკიდებულება აღნიშნული საქმიანობის მიმართ: მოსწონს თუ არა? სურს თუა არა რომ ცხოვრების გარკვეული ეტაპი ამ და მსგავსი ტიპის აქტივობებს დაუთმოს და ა.შ. მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ კურსის მიზანია, მოსწავლემ თავად გაიაზროს სურს თუ არა ამ პროფესიის არჩევა და მომავალში პროფესიისთვის დამახასიათებელი სამუშაოების შესრულება.

სასწავლო გარემო და მათერიალურ-თექნიკური რესურსების გამოყენება

- **სასწავლო გარემოს ადაპტირება პროფესიის შესაბამისად** - თითოეული პროფესია გამოიჩევა მისთვის დამახასიათებელი პროფესიული გარემოთი, სადაც პროფესიონალებს უწევთ მუშაობა. უმეტეს შემთხვევაში, პროფესიის არჩევისას ახალგაზრდები სწორედ სამუშაო გარემოს ითვალისწინებენ, შესაბამისად, პროფესიული უნარების განვითარების კურსის ფარგლებში პროფესიული მასწავლებელი და კურსის განხორციელების პროცესში ჩართულო სხვა პირები უნდა შეეცადონ საგაკვეთილი სივრცე დაუახლოვონ პროფესიისთვის დამახასიათებელ სამუშაო გარემოს, რათა მოსწავლემ შეძლოს გარკვევა, სურს თუ არა მომავალში მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ ტიპის გარემოში მუშაობა. პროექტის მენეჯმენტს არ აქვს იმის მოლოდინი, რომ კურსის განმარხორციელებელი შეძლებს საგაკვეთილი სივრცე სრულიად დაამსგავსოს რეალურ სამუშაო გარემოს, თუმცა ისინი უნდა შეეცადონ,

გარემო პროფესიისთვის მეტად ადაპტირებული გახადონ, რაც მოსწავლეს პროფესიული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება.

- **პროფესიისთვის დამახასიათებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა** - ნებისმიერ პროფესიაში არსებობს რიგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომელსაც ამ პროფესიით დასაქმებული ადამიანები ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებენ. კურსის მიზანია, მოსწავლეებს შეეძლოთ ყველა იმ მანქანა-დანადგარების, ტექნიკური აღჭურვილობისა თუ იარაღების გამოყენება, რომლებიც მნიშვნელოვანია სამუშაოს ეფექტურად შესრულებისთვის. გააზრებული და ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია მოსწავლემ გამოიყენოს პროფესიისთვის დამახასიათებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და გადაწყვიტოს, საინტერესოა თუ არა მისთვის მათი ოპერირება და სურთ თუ არა ამგვარი სამუშაოების შესრულება მომავალში.
- **უკუკავშირის მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებისას** - პროფესიისთვის დამახასიათებელი მანქანა-დანადგარების, ტექნიკური აღჭურვილობისა და იარაღების გამოყენებისას მასწავლებელი ყოველთვის უნდა აკვირდებოდეს მოსწავლეთა მიერ მათი გამოყენების პროცესს და დროულ უკუკავშირს აწვდიდეს მოსწავლეებს ტექნიკური აღჭურვილობის სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები კარიერის მართვის/პროფორინენტაციის კომპონენტისთვის

პროფესიის არჩევა ერთ-ერთი ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იღებს, რადგან მიღებული გადაწყვეტილება გავლენას ახდებს მის მთელ ცხოვრებაზე. პროფესიის არჩევის გადაწყვეტილება არ წარმოადგენს ერთდღიან აქტივობას და მასზე მუშაობა გრძელდება დიდი ხნის განმავლობაში, რაც დამოკიდებულია თავად გადაწყვეტილების მიმღებ პირზე - ზოგიერთი ადამიანი სწრაფად ახერხებს კარიერული გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო ზოგიერთ ადამიანს წლები სჭირდება მისთვის იდეალური პროფესიის მოსაძიებლად. რთულია ამგვარი გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად. სწორედ ამიტომ არსებობს კარიერული კონსულტაცია, იგივე კარიერის მართვა, რომლის მიზანია დაეხმაროს ადამიანს კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის პროფესიის არჩევისას.

სწორედ პროფესიის არჩევის კომპლექსურობიდან და სირთულიდან გამომდინარეობს ის, რომ პროფესიული უნარების განვითარების კურსი მიზნად ისახავს დაეხმაროს ახალგაზრდებს მოსინჯოს საკუთარი ძალები ამა თუ იმ პროფესიაში, მიიღონ სიღრმისეული ინფორმაცია და შედეგად, დამოუკიდებლად შესძლონ გააზრებული და ინფორმირებული პროფესიული გადაწყვეტილების მიღება. კურსზე ჩართული პროფესიული მასწავლებლებისა და კარიერული კონსულტანტების მთავარიც მიზანი სწორედ პროფესიის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდებაა მოსწავლისთვის.

იქიდან გამომდინარე, რომ კარიერის მართვა ახალი დისციპლინაა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და სკოლისა თუ პროფესიულ მასწავლებლები არ ფლობენ სათანადო კომპეტენციებს, პროფესიული უნარების განვითარების კურსის ფარგლებში კარიერის მართვის კომპონენტის გაძლიერება კარიერული კონსულტანტების (პროფორინენტაციის სპეციალისტების) პრეროგატივას წარმოადგენს.

ინფორმირებული და გააზრებული პროფესიული გადაწყვეტილების მისაღებად პროფესიის მაძიებელს ესაჭიროება ინფორმაცია ოთხი ძირითადი ასპექტის შესახებ: (1) ცოდნა საკუთარი თავის შესახებ, (2) ინფორმაცია პროფესიის შესახებ, (3) ინფორმაცია საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ და (4) ინფორმაცია შრომის ბაზრის შესახებ. კარიერული კონსულტაციის/კარიერის მართვის სფეროს არსებული გამოცდილებითა და კვლევითი მონაცემებით სწორი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ოთხივე კომპონენტის გათვალისწინება, რამეთუ ყოველი მათგანი ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან და ერთობლიობაში ქმნიან ჯაჭვს, რომლის ყოველი რგოლის არარსებობა თანდათან გვაშორებს სწორი გადაწყვეტილების მიღებას.

პროფესიული უნარების განვითარების კურსის მსვლელობისას პროფესიული მასწავლებელი და კარიერული კონსულტანტი ვალდებულია მოსწავლეს მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიის შემდეგი ასპექტების შესახებ:

შენიშვნა: სასურველია, მასწავლებელმა და კარიერულმა კონსულტანტმა ქვემოთ წარმოდგენილ საკითხებზე ინფორმაცია მოსწავლეებს ყოველ გაკვეთილზე მიაწოდონ სხვადასხვა სასწავლო

შედეგთან ინტეგრირებით, რათა კურსის დასრულების შემდეგ მოსწავლე ამომწურავ ინფორმაციას ფლობდეს პროფესიის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ.

ინფორმაცია პროფესიის შესახებ:

- **პროფესიის მიზნები და დანიშნულება** - თითოეულ პროფესიას საკუთარი მიზნები და დანიშნულება აქვს, რომელიც რეალურად განსაზღვრავს პროფესიის უნიკალურობას. მაგალითად, ექიმის პროფესიის მიზანია ადამიანების დახმარება და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, **მასწავლებლის** - მომავალი თაობის განათლებასა და განვითარებაზე ზრუნვა, **კარიერული კონსულტანტის** - ადამიანის კარიერული განვითარება და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა, **ფლორისტი** - ადამიანებისთვის ესთეტიური სიამოვნების მიღების უზრუნველყოფა, **სურსათის უვნებლობის სპეციალისტის** - ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და ა.შ. პროფესიის არჩევას მნიშვნელოვანია ახალგაზრდა კარგად ანალიზებდეს პროფესიის მიზნებსა და დანიშნულებას, შესაბამისად, პროფესიული უნარების განვითარების კურსის ფარგლებში პროფესიული მასწავლებლისა და კარიერული კონსულტანტის მოვალეობაა კურსის დაწყებისთანავე დაეხმაროს მოსწავლეებს პროფესიის მიზნებსა და დანიშნულების გარკვევაში, რაც შემდგომში მთლიანად წარმართავს მოსწავლის კურსისადმი დაინტერესებას. კურსის განმავლობაში მოსწავლემ უნდა შესძლოს დასაბუთებული პასუხი გასცეს კითხვას „რა იქნებოდა, რომ არ არსებობდეს ეს პროფესია და არ არსებობდნენ ამ პროფესიის ადამიანები?“.
- **პროფესიის სპეციალიზაცია** - თანამედროვე სამყაროში პროფესიები სპეციალიზაციებად იშლება, რომლებიც რეალურად წარმოადგენს პროფესიის უფრო ვიწრო მიმართულებას. საგანმანათლებლო კარიერის დასაწყისში ადამიანები ზოგად ცოდნას იღებენ პროფესიის შესახებ, ხოლო განათლების შემდგომ საფეხურზე, მეტწილად მაგისტრატურაზე ან/და პროფესიული განათლების ზედა საფეხურებზე, ისინი სპეციალიზდებიან ვიწრო მიმართულებებში. მაგალითად, **მებაღეობის სპეციალისტმა** შეიძლება შემდგომში უფრო ვიწრო მიმართულება - **დეკორატიული მებაღეობა** ან **ფლორისტიკა** აირჩიოს, **მეთევზე სპეციალიზდეს** **თევზის ფერმერობაზე**, **თევზის გადამუშავებაზე**, **თევზის წარმოებაზე**, **მეთევზეობის ლაბორატორიულ სამუშაოებზე**, **თევზჭერაზე** ან **დეკორატიულ მებაღეობაზე**. ასევე, **მეხილე** შეიძლება მუშაობდეს **მხოლოდ კურკოვან**, **კერკოვან** ან **კაკლოვან კულტურებზე**. პროფესიის არჩევის დროს მოსწავლეს უნდა შეეძლოს საკუთარი კარიერის განსჯა შორეულ პერსპექტივაში, ამისთვის კი ის უნდა ფლობდეს ინფორმაციას პროფესიის ვიწრო სპეციალიზაციების შესახებ, რათა მომავალში გადაწყვიტოს, სურს თუ არა მომავალში ვიწრო სპეციალიზაციის არჩევა და თუ კი, რომლის.
- **სამუშაო დავალებები და აქტივობები** - ხშირად ადამიანები ირჩევენ პროფესიას მისი გარეგნული მომხიბვლელობიდან გამომდინარე, თუმცა არ იციან რეალურად რისი შესრულება მოუწევთ მომავალში. შედეგად, პრაქტიკული სამუშაო გამოცდილების მიღების შემდეგ ისინი აღმოაჩენენ, პროფესიაზე არასწორი წარმოდგენები ჰქონდათ და თანდათან ტოვებენ პროფესიას. პროფესიის არჩევის პროცესში ადამიანი უნდა ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას იმ სამუშაო დავალებებისა თუ აქტივობების შესახებ, რომელსაც ამ პროფესიით დასაქმებული ადამიანები ასრულებენ ყოველდღიურად. პროფესიული უნარების განვითარების კურსის მოდულები აგებულია ისე, რომ მასში წარმოდგენილი იყოს პროფესიისთვის დამახასიათებელი ამოცანათა ფართო სპექტი. სასწავლო შედეგები კი

მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი ძალები პროფესიისთვის მნიშვნელოვან ყველა სამუშაოში მოსინჯოს. კარიერული კონსულტანტისა და პროფესიული მასწავლებლის ფუნქციას ხელი შეუწყონ მოსწავლეს შეასრულოს პროფესიისთვის დამახასიათებელი ყველა მნიშვნელოვანი სამუშაო.

სამუშაო დავალებებსა თუ ამოცანებზე საუბრისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ხშირად აღნიშნული ფაქტორები იცვლება პოზიციის, ორგანიზაციის ტიპისა თუ ინდუსტრიის მიხედვით. მაგალითად, ვეტერინარისა და ვეტერინარიის ასისტენტის ფუნქციამოვალეობები ერთმანეთისგან განსხვავებული, შესაბამისად, მათ განსხვავებული სამუშაოების შესრულება უწევს. ასევე, განსხვავებულია მიმღები-რეცეფციონისტის სამუშაო დავალებები იმის მიხედვით სასტუმროში მუშაობს ის, კაფეში თუ სამედიცინო დაწესებულებაში. უმეტეს შემთხვევაში ერთი და იგივე პროფესიის წარმომადგენლების სამუშაოს სპეციფიკა განსხვავდება ინდუსტრიის მიხედვითაც. მაგალითად, კვების სფეროში მომუშავე ბუფეტური საბანკო სფეროში მომუშავე ბუფეტურისგან განსხვავებულ სამუშაოებს ასრულებს.

- **სამუშაოს შესრულებისას საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები** - თითოეული პროფესიაში სამუშაოს წარმატებით შესრულებისას ერთმანეთისგან განსხვავებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს იყენებენ, რის გამოც თითოეული პროფესია შეიძლება უნიკალური იყოს. მაგალითად, მეთევზე იყენებს ანკესს და ბადეს, მეხილე - სასხლავ მაკრატელს, ბარსა და თოხს, ბუფეტური - კალკულატორს, კომპიუტერს და ა.შ. იქიდან

გამომდინარე, რომ სპეციალისტები ყოველდღიურად იყენებენ პროფესიისთვის დამახასიათებელ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, ხშირად პროფესიისადმი ინტერესი ღრმავდება ან ქრება სწორედ ამ რესურსების გამოყენებისადმი ინტერესიდან გამომდინარე. ამიტომ, კარიერული კონსულტანტების უმრავლესობა ერთხმად თანხმდება, რომ პროფესიის არჩევის პროცესში ადამიანი უნდა ფლობდეს ინფორმაცია იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ, რომელსაც შემდომ ყოველდღიურად გამოიყენებს სამუშაოს შესრულებისას.

- **სამუშაო გარემო** - ადამიანების უმრავლესობა პროფესიას სამუშაო გარემოს მახასიათებლებიდან გამომდინარე ირჩევს. იქიდან გამომდინარე, რომ ყოველი პროფესია მისთვის უნიკალური სამუშაო გარემოთი ხასიათდება, პროფესიის არჩევისას ხშირად სწორედ ეს ფაქტორია გადამწყვეტი. არსებობს პროფესიები, სადაც სამუშაოები სრულდება შენობაში ან შენობის გარეთ, ღია ცის ქვეშ. ზოგიერთი პროფესია (მაგ. გიდი) მუდმივ მოგზაურობასა და გარემოს შეცვლას გულისხმობს. ძალიან სპეციფიური სამუშაო გარემო აქვთ ექთნებს და ვეტერინარებს და ა.შ. გარდა ამისა, ხშირად ერთი და იგივე პროფესიის სამუშაო გარემოც კი იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელ ინდუსტრიაში მუშაობს ადამიანი. შესაძლებელია, ვეტერინარი საკუთარ კლინიკაში მუშაობდეს ან გეგმიურ აცრებზე დადიოდეს რეგიონის ან ქვეყნის მასშტაბით. გიდი შეიძლება მუშაობდეს მუზეუმში ან ტურისტთა ჯგუფს დაჰყვებოდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. არსებობს პროფესიები, სადაც მუდმივად გიწევს ადამიანებთან ურთიერთობა, რიგ პროფესიებში კი სამუშაოს დამოუკიდებლად ასრულებენ. სამუშაო გარემომ შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანის პროფესიისადმი დაინტერესება ან პირიქით, სწორედ ეს მიზეზი გახდეს სხვა პროფესიის

არჩევს მიზანი. მაგალითად, კვების პროდუქტების მწარმოებლის სამუშაო გარემო საკმაოდ ხმაურიანია, რაც შეიძლება მიუღებელი იყოს იმ ადამიანისთვისაც კი, რომელსაც მოსწონს ეს პროფესია და მნიშვნელოვნად მიიჩნევს პროფესიის დანიშნულებას საზოგადოებისთვის. მართალია პროფესიული უნარების განვითარების კურსი მოაზრებს საგაკვეთილო სივრცის დაახლოებას სამუშაო გარემოსთან, მაგრამ საგაკვეთილო სივრცე ვერასდროს ვერ იქნება რეალური სამუშაო გარემოს იდენტური, სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია კარიერულმა კონსულტანტმა მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია მოსწავლეებს ან მოაწყოს ექსკურსიები სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ საწარმოებში.

➤ **პროფესიის უპირატესობები და სირთულეები** - თითოეული პროფესია ხასიათდება მისთვის უნიკალური უპირატესობებითა და სირთულეებისგან. პროფესიის არჩევს პროცესში ახალგაზრდამ უნდა შესძლოს აწონ-დაწონოს პროფესიის უპირატესობები და სირთულეები და მიიღოს მისთვის იდეალური გადაწყვეტილება. ამ მხრივ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია კარიერული კონსულტანტისა და პროფესიული მასწავლებლის როლი, რომლებმაც მოსწავლეებს უნდა მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია პროფესიის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. ხშირ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული მასწავლებელი კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელია, ფიქრობს, რომ კურსის მიზნებიდან გამომდინარე მან უნდა დაინტერესდეს პროფესიით მოსწავლე, რაც არ ეხმიანება კურსის მიზნებს. საგულისხმოა, რომ პროფესიის უპირატესობებისა და სირთულეების გაანალიზების შედეგად მიღებული პროფესიული გადაწყვეტილება გაცილებით მყარი და არგუმენტირებულია. საგულისხმოა, რომ პროფესიის ზოგიერთი სირთულე ადამიანების ნაწილისთვის დაბრკოლებას წარმოადგენდეს, ხოლო მეორე ნაწილისთვის - პირიქით, ერთგვარ ინტრიგასა და ინტერესს აღვიძებდეს. მაგალითად, ექთნის პროფესიას ძალიან ბევრი უპირატესობა გააჩნია. ისინი ზრუნვავენ ადამიანების ჯანმრთელობაზე და ცდილობენ, პაციენტისთვის მაქსიმალურად კომფორტული და ადაპტირებული გახადონ მკურნალობის პროცესი, თუმცა ამავდროულად ექთნებს უწევთ დიდი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, სხვადასხვა პრობლემის მქონე ადამიანებთან ურთიერთობა, რაც გარკვეულ ემოციურ დამაბულობასთან არის დაკავშირებული. ადამიანთან ნაწილისთვის ეს შეიძლება მისაღები იყოს, ან პირიქით. მოსწავლე კურსის დასრულების შემდეგ უნდა ფლობდეს ამომწურავ ინფორმაციას პროფესიის უპირატესობებისა და სირთულეების შესახებ, რათა დამოუკიდებლად შესძლოს ინფორმირებული და გააზრებული გადაწყვეტილების მიღება.

➤ **მსგავსი პროფესიები** - იქიდან გამომდინარე, რომ კურსის სამიზნე აუდიტორიის ინტერესები ასაკიდან გამომდინარე ხშირად იცვლება, არსებობს იმის ალბათობა, რომ მოსწავლე დაინტერესდეს აღნიშნული პროფესიის მსგავსი ან/და მონათესავე პროფესიით. მაგალითად, თუ მოსწავლე გადის მეფუტკრეობის კურსს, რადგან მოსწონს მწერებზე დაკვირვება და მათი მოვლა, შესაძლოა დაინტერესდეს მეცხოველეობით, ვეტერინარიით ან მსგავსი პროფესიით. იქიდან გამომდინარე, კურსის მიზანს მოსწავლის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს, რეკომენდებულია კარიერულმა კონსულტანტმა და პროფესიულმა მასწავლებელმა მოსწავლეს გააცნოს სამიზნე პროფესიის მსგავსი პროფესიებიც, რათა მან სხვა პროფესიული ალტერნატივების განხილვაც შესძლოს.

- **საგანმანათლებლო დაწესებულებაში** - მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული უნარების განვითარების კურსი რომელიმე პროფესიული კოლეჯის ორგანიზებით ხორციელდება, პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლებმა უნდა დაიცვან კარიერის მართვის ეთიკის სტანდარტები და უზრუნველყონ მოსწავლეები ყველა არსებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციით. კარიერული კონსულტანტი ვალდებულია მოიძიოს ინფორმაცია ყველა იმ უნივერსიტეტისა თუ პროფესიული კოლეჯის შესახებ, სადაც შესაძლებელია მოცემული პროფესიის დაუფლება. რეკომენდებულია, კარიერული კონსულტანტი არ შემოიფარგლოს მხოლოდ უნივერსიტეტებისა და კოლეჯების ჩამონათვალით. სწორი კარიერული გადაწყვეტილების მისაღებად მოსწავლეს სჭირდება უფრო სიღრმისეული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ: (1) პროგრამის დასახელება, (2) პროგრამის შინაარსი (კურსები, რომელთა გავლაც შესაძლებელია კონკრეტული პროგრამის ფარგლებში), (3) პროგრამის სილაბუსი, (4) ლექტორები, (5) სწავლის საფასური, (6) სახელმწიფო დაფინანსება და პროგრამაზე მოხვედრისთვის საჭირო ღონისძიებები (ეროვნული გამოცდები, შიდა შესარჩევი ტური და ა.შ.), (7) პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივა (ამგვარი ინფორმაციის არსებობის პირობებში). მნიშვნელოვანია, კურსის დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეეძლოს საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის აწონ-დაწონვა და მისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.
- **რეგიონები, ქალაქები, სოფლები, სადაც შესაძლებელია პროფესიის დაუფლება** - კარიერული კონსულტანტი ვალდებულია, მოიძიოს ინფორმაცია იმ რეგიონების, ქალაქებისა და სოფლების შესახებ, სადაც შესაძლებელია მოსწავლე მისთვის საინტერესო პროფესიას დაეუფლოს.
- **პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ცოდნა** - თითოეულ პროფესიაში სამუშაოს წარმატებით შესრულებისთვის მნიშვნელოვანია გარკვეული თეორიული ბაზისის მომზადება - არ არსებობს პროფესია, სადაც რიგი სამუშაოების შესრულებისთვის გარკვეული თეორიული ცოდნა არ არის მნიშვნელოვანი. პროფესიის არჩევის პროცესში მოსწავლე უნდა ფლობდეს ინფორმაციას იმ საგნების/კურსების შესახებ, რომელთა სწავლაც ამ პროფესიის არჩევის შემთხვევაში მოუწევს. სასურველია, კარიერულმა კონსულტანტმა და პროფესიულმა მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნოს ის მოდულები, რომელთა გავლაც მოსწავლეებს პროფესიის არჩევის შემთხვევაში მოუწევს და ესაუბროს, კონკრეტული მოდულის გავლის საჭიროებებზე. შესაძლოა, მოსწავლე დაინტერესებულია სკოლაში მათემატიკის შესწავლით, თუმცა მისთვის საინტერესო აღარ იყოს კოლეჯში დიდი ხნის მანძილზე მათემატიკის შესწავლა, რამაც სხვა პროფესიის არჩევის გადაწყვეტილება მიაღებინოს. გარდა ამისა, პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ცოდნის შესახებ ინფორმაციის გააზრება მოსწავლეებს ეხმარებათ უკეთ მოემზადონ სკოლის შემდგომი განათლებისთვის.
- **დასაქმებისთვის აუცილებელი განათლების საფეხური** - შრომის ბაზარი თითოეულ პროფესიის წარმომადგენლებისგან გარკვეული საგანმანათლებლო საფეხურის მიღწევას მოითხოვს, რაც ახალგაზრდამ კარიერის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინოს. მაგალითად, კონკრეტულ პროფესიაში დამსაქმებელი შეიძლება ითხოვდეს ზოგადი განათლების, პროფესიული კოლეჯის ან ბაკალავრიატის დიპლომს, ხოლო ზოგიერთ პროფესიაში

დასაქმებისთვის აუცილებელია მაგისტრის ან/და უფრო მაღალი ახალდემიური ხარისხი. რიგი პროფესიები გარკვეული სასერტიფიკაციო კურსების გავლასაც მოითხოვს. პროფესიის არჩევის დროს მოსწავლე ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ რომელ საგანმანათლებლო საფეხურს ითხოვს მის სფეროში მოღვაწე დამსაქმებელი, რათა საგანმანათლებლო კარიერის სწორად დაგეგმვა შესძლოს.

ინფორმაცია პროფის გაზრის შესახებ

- **განვითარების ტენდენციები** - 21-ე საუკუნეში პროფესიაზე მოთხოვნა სწრაფად იცვლება. არსებობს პროფესიები, რომლებზე მოთხოვნაც დღითი დღე იზრდება (მაგ. **სურსათის უვნებლობის სპეციალისტები**), ხოლო არსებობს პროფესიები, რომლებზე მოთხოვნაც შრომის ბაზარზე თანდათან იკლებს ან საერთოდ აღარ არსებობს. პროფესიის არჩევისას შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაცია ყველაზე გადამწყვეტი შეიძლება იყოს მოსწავლისთვის. კარიერული კონსულტანტი და პროფესიული მასწავლებელი **კარიერული კონსულტაციის ეთიკის სტანდარტებიდან** გამომდინარე ვალდებულია რეალისტური ინფორმაცია მიაწოდოს მოსწავლეს პროფესიის განვითარების ტენდენციების შესახებ. ევროპის უმეტეს ქვეყანაში არსებობს პროფესიის განვითარების ტენდენციების ამსახველი ზუსტი რიცხვები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მსგავსი ინფორმაცია ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი, კარიერული კონსულტანტი უნდა დაეყრდნოს ფრაგმენტულ მომაცემებს ან/და რეგიონის მასშტაბით მოიძიოს ინფორმაცია დამსაქმებლებისგან.
- **დასაქმების შესაძლებლობები** - კარიერული კონსულტანტი და პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიის დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული ასპექტი მოიცავს ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ: (1) **ინდუსტრიები**, სადაც ამ პროფესიის ადამიანს შეუძლია დასაქმება, (2) **ორგანიზაციის ტიპები** (კერძო, საჯარო, არასამთავრობო, საერთაშორისო), სადაც სადაც ამ პროფესიის ადამიანს შეუძლია დასაქმება, (3) **ქალაქები, რეგიონები, სოფლები** სადაც ამ პროფესიის ადამიანს შეუძლია დასაქმება, (4) **სამუშაო პოზიციები**, სადაც ამ პროფესიის ადამიანს შეუძლია დასაქმება.
- **საშუალო ანაზღაურება** - რეკომენდებულია, კარიერულმა კონსულტანტმა მოიძიოს ინფორმაცია საშუალო ანაზღაურების შესახებ, რომელსაც ამ პროფესიის ადამიანები გამოიმუშავენ ყოველწლიურად ან ყოველთვიურად, რამეთუ პროფესიის არჩევისას აღნიშნული ინფორმაცია ხშირად გადამწყვეტია ახალგაზრდებისთვის. ზოგიერთი ახალგაზრდისთვის პრიორიტეტულია მატერიალური ანაზღაურება, ზოგიერთისთვის კი მხოლოდ პროფესიული ინტერესია მთავარი. თანამედროვე სამყაროში ორივე შეხედულება ჯანსაღი და გასათვალისწინებელია. ამიტომ, თუ მოსწავლისთვის წამყვანი შემოსავლიანი პროფესიის არჩევაა, სასურველია მიეწოდოს ინფორმაცია, რომ მისი სამიზნე პროფესია არ არის შემოსავლიანი საქართველოში ან პირიქით. აღნიშნული ინფორმაციის მოსაძიებლად კარიერული კონსულტანტს შეუძლია ესტუმროს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ვებგვერდს ან მოიძიოს ინფორმაცია დასაქმების პორტალებიდან.

- **პროფესიისთვის მნიშვნელოვანი უნარები** - თითოეული პროფესია ხასიათდება უნარებით, რომელთა ფლობაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამუშაოს წარმატებით შესრულებისთვის. ამის პარალელურად, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც კონკრეტული უნარები ძალიან კარგად აქვთ განვითარებული, ხოლო რიგი უნარები - ნაკლებად. უნარების ჭრილში, სწორი კარიერული გადაწყვეტილება გულისხმობს იმ პროფესიის არჩევას, სადაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ის უნარები, რომლებიც პროფესიის მამძიებელს კარგად აქვს განვითარებული. პროფესიული უნარების განვითარების კურსის ერთ-ერთ მიზანს სწორედ საკუთარ უნარებში გამორკვევა წარმოადგენს. კურსის ფარგლებში, სწორად შერჩეული სამუშაო დავალებების შესრულების შედეგად, მოსწავლემ უნდა შესძლოს იმ უნარების გამოცდა, რომლებიც პროფესიისთვის მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, კარიერული კონსულტანტი და პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეს გააცნოს ის უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროფესიაში და იმსჯელოს, რა განაპირობებს აღნიშნულ პროფესიაში კონკრეტული უნარების ფლობის აუცილებლობას, რათა სურვილის შემთხვევაში, მოსწავლემ ძალები ამ უნარების განვითარებისკენ მიმართოს.
- **პიროვნული მახასიათებლები** - ყოველი პროფესია თავსებადია ადამიანის რიგ პიროვნულ მახასიათებლებთან. მაგალითად, ერთი მხრივ, არსებობს ადამიანები, რომლებსაც მოსწონს საზოგადოებასთან ურთიერთობა, ხოლო მეორე მხრივ, არსებობს პროფესიათა მთელი სპექტრი, სადაც სამუშაო წარმოუდგენელია საზოგადოებასთან ურთიერთობის გარეშე. პროფესიული უნარების განვითარების კურსის მიზანია მოსწავლემ მასწავლებლისა და კარიერული კონსულტანტის დახმარებით გაიაზროს, როგორი პიროვნული მახასიათებლები შეესაბამება ამ პროფესიას და თვითრეფლექსიის გზით, მოსწავლემ განსაჯოს ეხმიანება თუ არა მისი პიროვნება პროფესიის სპეციფიკაციებს.



**სკოლის მოსწავლეებში პროფესიული
უნარების განვითარების პროგრამა**

WSD PROGRAM

2019 წელი